

შპს ბლექ სი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ბლექ სი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა -----3

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----8

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----9

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ----- 11

მმართველობის ანგარიში -----27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბლექ სი-ს მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ბლექ სი-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 4-ე შენიშვნაზე, სადაც აღწერილია კომპანიის შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება 2023 წლის საანგარიშო პერიოდში, საქმიანობის ერთი მიმართულების შეწყვეტის გამო. როგორც 4-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები ან პირობები სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების

დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადთვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ამასთან დაკავშირებით, „ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუზღვრელობა“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი

შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

30 აგვისტო, 2024 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	65,986	82,482
საინვესტიციო ქონება	6	1,137,737	1,181,136
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	7	505,000	425,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,708,723	1,688,618
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		-	798
მარაგები	8	214,559	155,676
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	913,491	920,543
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	70,361	4,277
სულ მიმდინარე აქტივები		1,198,411	1,081,294
სულ აქტივები		2,907,134	2,769,912
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		120,000	220,000
აკუმულირებული მოგება		1,527,615	1,440,164
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		77,759	77,759
სულ კაპიტალი		1,725,374	1,737,923
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	1,160,100	1,031,989
საგადასახადო ვალდებულება		21,660	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,181,760	1,031,989
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,907,134	2,769,912

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.

გიორგი ქათამაძე
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	22,675,938	26,464,842
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(22,087,212)	(25,767,607)
საერთო მოგება		588,726	697,235
საიჯარო შემოსავალი	6	203,390	169,791
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(189,032)	(190,467)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	15	(429,014)	(474,129)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		174,070	202,430
ფინანსური ხარჯები		-	(20,002)
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	6	-	452,430
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		20,715	56,590
მოგება დაბეგვრამდე		194,785	691,448
მოგების გადასახადი		(28,387)	(4,986)
წლის მოგება		166,398	686,462
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		-	77,759
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		166,398	764,221

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.

გიორგი ქათამაძე
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2022	258,000	780,018	-	1,038,018
კაპიტალის შემცირება	(38,000)	-	-	(38,000)
დივიდენდის გაცემა	-	(26,316)	-	(26,316)
ოპერაციები მფლობელებთან	(38,000)	(26,316)	-	(64,316)
წლის მოგება	-	686,462	-	686,462
სხვა სრული შემოსავალი			77,759	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	686,462	77,759	764,221
31 დეკემბერი 2022	220,000	1,440,164	77,759	1,737,923
კაპიტალის შემცირება	(100,000)	-	-	(100,000)
დივიდენდის გაცემა	-	(78,947)	-	(78,947)
ოპერაციები მფლობელებთან	(100,000)	(78,947)		(178,947)
წლის მოგება	-	166,398	-	166,398
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	166,398	-	166,398
31 დეკემბერი 2023	120,000	1,527,615	77,759	1,725,374

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.

გიორგი ქათამაძე
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		166,398	686,462
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	59,896	30,299
საინვესტიციო ქონების ღირებულების ცვლილება	6	-	(452,430)
ფინანსური ხარჯი		-	20,002
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		226,294	284,333
ცვლილებები მარაგებში	8	(58,883)	11,298
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	7,052	(398,580)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	128,111	247,394
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში		22,458	5,873
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		325,032	150,318
გადახდილი პროცენტი		-	(20,002)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		325,032	130,316
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(78,947)	(26,316)
კაპიტალის შემცირება		(100,000)	(38,000)
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(178,947)	(64,316)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	-	(1,826)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	7	(80,000)	(80,000)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(80,000)	(81,826)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა		66,084	(15,826)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	4,277	20,103
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		70,361	4,277

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.

გიორგი ქათამაძე

დირექტორი

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

30 აგვისტო, 2024 წელი

შპს ბლექ სი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	65,986	82,482
საინვესტიციო ქონება	6	1,137,737	1,181,136
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	7	505,000	425,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,708,723	1,688,618
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		-	798
მარაგები	8	214,559	155,676
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	913,491	920,543
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	70,361	4,277
სულ მიმდინარე აქტივები		1,198,411	1,081,294
სულ აქტივები		2,907,134	2,769,912
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		120,000	220,000
აკუმულირებული მოგება		1,527,615	1,440,164
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		77,759	77,759
სულ კაპიტალი		1,725,374	1,737,923
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	1,160,100	1,031,989
საგადასახადო ვალდებულება		21,660	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,181,760	1,031,989
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,907,134	2,769,912

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.


გიორგი ქათამაძე
დირექტორი


თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	22,675,938	26,464,842
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(22,087,212)	(25,767,607)
საერთო მოგება		588,726	697,235
საიჯარო შემოსავალი	6	203,390	169,791
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(189,032)	(190,467)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	15	(429,014)	(474,129)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		174,070	202,430
ფინანსური ხარჯები		-	(20,002)
საინვესტიციო ქონების რეალური		-	452,430
ღირებულების ცვლილება	6	-	452,430
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		20,715	56,590
მოგება დაბეგვრამდე		194,785	691,448
მოგების გადასახადი		(28,387)	(4,986)
წლის მოგება		166,398	686,462
სხვა სრული შემოსავალი		-	77,759
ძირითადი საშუალებების გადაფასების		-	77,759
რეზერვი		-	77,759
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		166,398	764,221

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.


გიორგი ქათამაძე
დირექტორი


თამარ კობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2022	258,000	780,018	-	1,038,018
კაპიტალის შემცირება	(38,000)	-	-	(38,000)
დივიდენდის გაცემა	-	(26,316)	-	(26,316)
ოპერაციები მფლობელებთან	(38,000)	(26,316)	-	(64,316)
წლის მოგება	-	686,462	-	686,462
სხვა სრული შემოსავალი	-	-	77,759	77,759
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	686,462	77,759	764,221
31 დეკემბერი 2022	220,000	1,440,164	77,759	1,737,923
კაპიტალის შემცირება	(100,000)	-	-	(100,000)
დივიდენდის გაცემა	-	(78,947)	-	(78,947)
ოპერაციები მფლობელებთან	(100,000)	(78,947)	-	(178,947)
წლის მოგება	-	166,398	-	166,398
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	166,398	-	166,398
31 დეკემბერი 2023	120,000	1,527,615	77,759	1,725,374

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.


გიორგი ქათამაძე
დირექტორი


თამარ კობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		166,398	686,462
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	59,896	30,299
საინვესტიციო ქონების ღირებულების ცვლილება	6	-	(452,430)
ფინანსური ხარჯი		-	20,002
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		226,294	284,333
ცვლილებები მარაგებში	8	(58,883)	11,298
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	7,052	(398,580)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	128,111	247,394
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში		22,458	5,873
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		325,032	150,318
გადახდილი პროცენტი		-	(20,002)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		325,032	130,316
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(78,947)	(26,316)
კაპიტალის შემცირება		(100,000)	(38,000)
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(178,947)	(64,316)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	-	(1,826)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	7	(80,000)	(80,000)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(80,000)	(81,826)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა		66,084	(15,826)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	4,277	20,103
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		70,361	4,277

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-32 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 აგვისტოს.


გიორგი ქათამაძე
დირექტორი


თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბლექ სი“ დაფუძნდა 2011 წლის 13 აპრილს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 445396296.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ფერდ., III მ/რ, I კვ., კორპ. 16, ბინა 4.

შპს ბლექ სი-ს დამფუძნებელია:

გიორგი ქათამაძე (პ.ნ.: 60001009375), წილი – 100%.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

გიორგი ქათამაძე (პ.ნ.: 60001009375).

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს პროდუქტებით. ასევე მისი საქმიანობაა უძრავი ქონების გაქირავება.

საქმიანობის ტიპი: სადისტრიბუციო ქსელი

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა გარკვეულ შეფასებებს. 2024 წლის ივლისის თვიდან კომპანიამ შეწყვიტა ძირითადი საქმიანობა - თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუცია, რომლიდანაც შემოსავალი შეადგენს კომპანიის შემოსავლის უდიდეს ნაწილს. 2023 წლის შემოსავლის დარჩენილი ნაწილი შეადგენს 203,390 ლარს, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეზე საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალს. კომპანიის მენეჯმენტმა მოამზადა მომდევნო 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც კომპანია მომგებიანია მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან, შესაბამისად კომპანიას შეეძლება დაფაროს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები ჩეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ნორმალურ მიმდინარეობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2022	2.7020	2.8844
31-დეკ-2023	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

კომპანია შენობა-ნაგებობების ღირებულების შეფასებისთვის იყენებს გადაფასების მოდელს.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით.

კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები.

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეფასებულია რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენ საინვესტიციო ქონებას კომპანია აღრიცხავს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, კომპანია ამ აქტის აღრიცხვას ძირითადი საშუალებების პოლიტიკის შესაბამისად მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი. საბალანსო ღირებულება, რომელიც საინვესტიციო ქონებას ექნება ზემოაღნიშნული ბოლო თარიღისთვის, გახდება მისი თვითღირებულება. ეს ცვლილება გარემოებების ცვლილება და არა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღიარდება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მიმდინარე სააღრიცხვო და მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადაფასებული შენობა-ნაგებობებისთვის ხელახლა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და განსაზღვრა.

ბ) საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

საინვესტიციო ქონება აღრიცხულია რეალური ღირებულებით. წლის განმავლობაში რეალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ორგანიზაციის მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის ივლისის თვიდან კომპანიამ შეწყვიტა ძირითადი საქმიანობა - თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუცია, რომლიდანაც შემოსავალი შეადგენს კომპანიის შემოსავლის უდიდეს ნაწილს. 2023 წლის შემოსავლის დარჩენილი ნაწილი შეადგენს 203,390 ლარს, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეზე საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალს. კომპანიის მენეჯმენტმა მოამზადა მომდევნო 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც კომპანია მომგებიანია მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან, შესაბამისად კომპანიას შეეძლება დაფაროს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები ჩეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ნორმალურ მიმდინარეობაში.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2022	-	6,038	-	6,038
შემოსვლა	77,759	880	2,397	81,035
გასვლა		(3,735)	(857)	(4,592)
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	77,759	3,183	1,540	82,482
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	77,759	3,183	1,540	82,482
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022	-	(2,527)	-	(2,527)
ცვეთა	-	(1,400)	-	(1,400)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	3,927		3,927
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	-	-	-
ცვეთა	(15,552)	(636)	(308)	(16,496)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(15,552)	(636)	(308)	(16,496)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	77,759	3,183	1,540	82,482
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	62,207	2,547	1,232	65,986

კომპანიის საკუთრებაში არსებული არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.

6. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 01.01.2022-ის მდგომარეობით	237,690	577,980	815,670
აფასება	75,457	290,009	365,466
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	313,147	867,989	1,181,136
აფასება	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	313,147	867,989	1,181,136
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 01.01.2022-ის მდგომარეობით	-	(57,798)	(57,798)
პერიოდის ცვეთა	-	(28,899)	(28,899)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დაგროვილი ცვეთის ელიმინირება		86,697	86,697
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	(43,399)	(43,399)
დაგროვილი ცვეთის ელიმინირება			
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	-	(43,399)	(43,399)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	313,147	867,989	1,181,136
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	313,147	824,590	1,137,737

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო აქტივები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- მიწის ნაკვეთი - 834 კვ.მ. ქ. ბათუმი, გიორგი ანწუხელიძის ქუჩა, N 3.
- შენობა-ნაგებობა - 507.6 კვ.მ. ქ. ბათუმი, გიორგი ანწუხელიძის ქუჩა, N 3.

2023 წელს, საინვესტიციო ქონების გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 203,390 (2022: 169,791) ლარი.

ცვეთის ხარჯი წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

7. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს შპს გიგი (ს.ნ.: 405285338), რომლის 20% წილის მფლობელი შპს ბლექ სი გახდა 2021 წლის 21 იანვარს. აღნიშნული წილის შესყიდვა განხორციელდა შპს გიგის მიმართ არსებული 150,000 ლარი სასესო მოთხოვნის სანაცვლოდ. ამის შემდეგ, 2022 წლის ბოლომდე შპს ბლექ სი-ს შპს გიგი-ს კაპიტალში განხორციელებული აქვს ფულადი შენატანები 2021- 195,000 ლარი, 2022 წელს - 80,000 ლარი, 2023 წელს - 80,000 ლარის ოდენობით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით. ინვესტიციის თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 505,000 ლარს.

შპს გიგის 40% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს ასევე შპს ბლექ სის 100% დამფუძნებელი გიორგი ქათამაძე, 60001009375.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია შპს “გიგი“-ს არაუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მთლიანი აქტივები	2,840,862	2,806,548
მთლიანი ვალდებულებები	267,968	474,344
კაპიტალი	3,376,809	3,041,809
დაგროვილი მოგება/ზარალი	(709,605)	(305,193)
წლის მოგება/ზარალი	(94,310)	(404,412)

8. მარაგები

	2023	2022
სიგარეტი	193,493	69,105
თამბაქო	17,768	72,112
საწვავი	2,167	731
სიგარეტის ტუბი	1,130	10,652
სხვა მარაგი	-	3,076
სულ	214,559	155,676

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2023 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 22,087,212 ლარს (2022: 25,767,607 ლარი).

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	892,694	906,364
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	20,000	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	797	14,179
სულ	913,491	920,543

მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან წარმოადგენს მოთხოვნებს დაკავშირებულ მხარეებთან.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	70,361	4,277
სულ	70,361	4,277

ფული და ფულის ეკვივალენტები დენომინირებულია ლარში, რომლებიც განთავსებულია ქართულ რეპუტაციულ ბანკებში და კომპანია არ მოელის მათ გაუფასურებას.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1,154,450	1,011,939
წარმოქმნილი ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,650	20,050
სულ	1,160,100	1,031,989

12. ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციიდან	22,675,938	26,464,842
სულ	22,675,938	26,464,842

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროის კონკრეტულ მომენტში.

13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულება	22,087,212	25,768,631
შემენილი საქონლის უკან დაბრუნება	-	(1,024)
სულ	22,087,212	25,767,607

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	74,165	67,356
მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	42,984
ცვეთა და ამორტიზაცია	59,896	30,299
კომუნალური ხარჯი	20,497	19,885
სხვა საგადასახადო ხარჯები	9,345	7,511
კომუნიკაციის ხარჯები	732	767
საბანკო ხარჯები	3,214	437
სხვა საერთო ხარჯები	21,183	21,228
სულ	189,032	190,467

15. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

	2023	2022
მიწოდების სახელფასო ხარჯი	290,533	306,150
საწვავის ხარჯები	67,136	82,739
მარკეტინგული მომსახურება	20,053	28,100
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	27,150	32,028
საიჯარო ქირა	24,142	25,112
სულ	429,014	474,129

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის ივლისიდან კომპანიამ შეწყვიტა ძირითადი საქმიანობა - სიგარეტების დისტრიბუცია.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დამფუძნებელზე გაცემულია დივიდენდი 31,000 ლარის ოდენობით.

საწესდებო კაპიტალი შემცირდა 13,000 ლარით.

17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კომპანიას დაკავშირებულ მხარისაგან იჯარით აქვს ფართი აღებული, ასევე იჯარით გასცემს ფართს დაკავშირებულ მხარეზე.

ინფორმაცია კომპანიის დამფუძნებლების და ხელმძღვანელობის შესახებ წარმოდგენილია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 1-ში. ამასთანავე არ არსებობს სხვა საბოლოო მშობელი საწარმო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	20,000	-	20,000
სრული შემოსავლების ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	
საიჯარო შემოსავალი	-	203,390	-	203,390
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	54,365	54,365
საიჯარო ხარჯი	-	15,254	-	15,254

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,500	-	1,500
სრული შემოსავლების ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	
საიჯარო შემოსავალი	-	194,000	-	194,000
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	46,250	46,250
საიჯარო ხარჯი	-	17,200	-	17,200

მეკავშირე საწარმოსთან განხორციელებულ ოპერაციებზე და ინვესტიციის ნაშთზე ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ბლექ სი-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 აგვისტოს.

შპს „ბლექ სი“

მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა
2. საოპერაციო გარემო
3. სუბიექტის ფილიალები
4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები
5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
6. სოციალური პასუხისმგებლობა
7. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა
8. ადამიანთა უფლებებისა და გარემოს დაცვა
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბლექ სი“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში 2011 წლის 13 აპრილს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 445396296. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ფერდობი III მიკ რაიონი I კვარტალი კორპ 16 ბინა 4.

კომპანიის საქმიანობის სფეროა, საქართველოს ტერიტორიაზე თამბაქოს პროდუქტების დისტრიბუცია და საბითუმო ვაჭრობა. ასევე საკუთარი ან იჯარით აღებული ქონების გაქირავება. კომპანიის მთავარი მომწოდებელი არის შპს „გეოდისტრიბუცია“. მარაგების 100%-ის შესყიდვა ხდება ამ კონტრაგენტისგან.

კომპანიის მეწილეები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
----------------------------	--------------------------	--------------------------

გიორგი ქათამაძე	100%	100%
-----------------	------	------

2. საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა დასავლეთ საქართველოს რეგიონში. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არა აქვს განვითარებული ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განვითარებული საკრედიტო და საფონდო ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით). ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში. მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური შეფერხება.

3. სუბიექტის ფილიალები

„კომპანიას“ აქვს იჯარით აღებული ოფისი და სასაწყობო ფართი ქ. ქუთაისში წერეთლის 190-ში. ასევე საკუთარი ქონება იჯარით გადაცემული ქ. ბათუმში გ. ანწუხელიძის ქუჩაზე. 2023 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 31 ადამიანი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

შპს ბლექ სი-ს შემოსავალი თამბაქოს დისტრიბუციიდან და საიჯარო საქმიანობიდან იხილეთ ცხრილში:

პერიოდი	შემოსავალი თამბაქოს დისტრიბუცია	შემოსავალი იჯარა	ჯამი
2022 წელი	26,464,842	169,791	26,634,633
2023 წელი	22,675,938	203,390	22,879,328

კომპანიის კაპიტალი:

2023 წლის საწყისი საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 220,000 ლარს (2022: 258,000 ლარი). 2023 წლის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 1,527,615 ლარს (2022: 1,440,164 ლარი). 2023 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 166,398 ლარი (2022: 764,221 ლარი), ხოლო კომპანიის მფლობელებზე 2023 წელს გაიცა 78,947 ლარი დივიდენდის სახით (2022: 26,316 ლარი).

	2023	2022
დებიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი	14.7	12.7
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	119	160
უკუგება აქტივებზე (ROA)	5.7	24.8

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის საოპერაციო საქმიანობა არ უკავშირდება ისეთ გლობალურ რისკებს, როგორიცაა: საბანკო რეგულაციები, ეკონომიკური რყევები და სავალუტო რისკები, რომლებზეც ხშირ შემთხვევაში ბევრი კომპანიის გაყიდვების მოცულობა დიდადაა დამოკიდებული. კომპანია არ ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მიმართ, რადგანაც ყველა ოპერაცია ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან მიმართებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება სირთულეებს შეხვდეს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - 1.01, სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი 0.83.

6. სოციალური პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც შპს ბლექ სი-ს უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის საიმედო მომსახურების გაწევას.

7. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (დამკვეთებს, თანამშრომლებს და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის

8. ადამიანთა უფლებებისა და გარემოს დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით-სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

ორგანიზაციის საქმიანობის გათვალისწინებით, დაბალია ალბათობა იმისა, რომ კომპანიამ თავისი პროდუქციითა თუ სერვისებით უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე.

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის ივლისიდან კომპანიამ საკუთარი გადაწყვეტილებით შეწყვიტა შპს „გეოდეტრიბუციასთან“ სამეწარმეო საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც კომპანია ახორციელებდა სიგარეტების ნაწარმის დისტრიბუციას და საბუთუმო ვაჭრობას. ამჟამად მის ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო საქმიანობა (უძრავი ქონების გაქირავება).

სტრატეგია, განვითარების გეგმა

მომავალ პერიოდში კომპანია საიჯარო საქმიანობასთან ერთად განიხილავს სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც ძირითადად საექსპორტო ოპერაციებს მოიცავს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის

30 აგვისტოს.

დირექტორი: გიორგი ქათამაძე

შპს ბლექ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც შპს ბლექ სი-ს უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის საიმედო მომსახურების გაწევას.

7. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (დამკვეთებს, თანამშრომლებს და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის

8. ადამიანთა უფლებებისა და გარემოს დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით-სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

ორგანიზაციის საქმიანობის გათვალისწინებით, დაბალია ალბათობა იმისა, რომ კომპანიამ თავისი პროდუქციითა თუ სერვისებით უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე.

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის ივლისიდან კომპანიამ საკუთარი გადაწყვეტილებით შეწყვიტა შპს „გეოდისტრიბუციასთან“ სამეწარმეო საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც კომპანია ახორციელებდა სიგარეტების ნაწარმის დისტრიბუციას და საბუთუმო ვაჭრობას. ამჟამად მის ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო საქმიანობა (უძრავი ქონების გაქირავება).

სტრატეგია, განვითარების გეგმა

მომავალ პერიოდში კომპანია საიჯარო საქმიანობასთან ერთად განიხილავს სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც ძირითადად საექსპორტო ოპერაციებს მოიცავს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის

30 აგვისტოს.

დირექტორი: გიორგი ქათამაძე

